353
24.11.16

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

წინა მოწვევის პარლამენტში საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტში განსახილველად წარდგენილი კანონპროექტების განხილვის პროცედურის გაგრძელების მიზანშეწონილობის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა 2016 წლის 24 ნოემბერს კომიტეტის სხდომაზე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 149-ე მუხლის თანახმად, შეადგინა წინა მოწვევის პარლამენტში კომიტეტში წარდგენილი იმ კანონპროექტების ნუსხა, რომელზედაც საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი განსაზღვრული იყო წამყვან კომიტეტად და იმსჯელა აღნიშნული პროექტების განხილვის პროცედურის გაგრძელების მიზანშეწონილობის საკითხზე. ნუსხით გათვალისწინებული პროექტები არ განხილულა საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ან განხილული და მიღებული იქნა მხოლოდ პირველი მოსმენით, კერძოდ:

საქართველოს პარლამენტის წევრის ალექსანდე ქანთარიას საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში" ცვლილების შეტანის შესახებ" (№07-3/38, 26.12.2012); (პროექტი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილული და მიღებულია პირველი მოსმენით).

საპარლამენტო ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში" ცვლილების შეტანის შესახებ" (№07-3/76, 28.03.2013); (პროექტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვა არ მომხდარა).

საქართველოს პარლამენტის წევრის მარიამ საჯაიას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტი „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (№07-3/97, 06.06.2013); (პროექტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვა არ მომხდარა).

საქართველოს პარლამენტის წევრების ირინა იმერლიშვილისა და ვახტანგ ხმალაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტი

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ (#07-3/111/8, 13.06.2013); (პროექტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვა არ მომხდარა).

საქართველოს პარლამენტის წევრის მიხეილ მაჭავარიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/282, 28.11.2013); (პროექტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვა არ მომხდარა).

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება-რეპუბლიკელების“ მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტთა პაკეტი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/350, 23.07.2014); (პროექტთა პაკეტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვა არ მომხდარა).

საქართველოს პარლამენტის წევრების ჩიორა თაქთაქიშვილისა და სერგო რატიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/416, 09.03.2015); (პროექტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვა არ მომხდარა).

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/455, 23.06.2015); (პროექტი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილული და მიღებულია პირველი მოსმენით).

საპარლამენტო ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/558, 04.04.2016); (პროექტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვა არ მომხდარა).

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 149-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად კომიტეტს ზემოაღნიშნული პროექტების შემდგომი განხილვის პროცედურის გაგრძელება მიზანშეუწონლად მიაჩნია.

პატივისცემით,

გიორგი კახიანი

კომიტეტის თავმჯდომარე